

სამემკვიდრო საქმისწარმოება

თურქეთი

1. სამკვიდროს მიღება და მასზე უარის თქმა : სამკვიდრო ქონების საკუთრება

“*ab intestat*” სამკვიდროს შემთხვევაში, საკუთრება გადანაწილდება მემკვიდრეებზე შემდეგნაირად :

- პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ გარდაცვლილის შვილები, და თუ ისინი აღარ არსებობენ, მათი შვილები.
- შვილების და შვილიშვილების არარსებობის შემთხვევაში, გარდაცვლილის მშობლები არიან მისი მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები.
- თუკი გარდაცვლილის მშობლები აღარ არიან ცოცხლები, მესამე რიგის კანონიერ მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი ბებია-პაპები და მათი შვილები.
- თუ გარდაცვლილის მეუღლე გარდაცვლილის ბავშვებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს მეოთხედს.
- თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილის მშობლებთან და მათ შვილებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს ნახევრს.
- თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილის ბებია-პაპებთან და მათ შვილებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს სამ მეოთხედს.
- თუ არ არსებობს ზემოთ ნახსენები არცერთი კანონიერი მემკვიდრე, სამკვიდრო სრულად გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე.
- თუ არცერთი კანონიერი მემკვიდრე და არც მეუღლე აღარ არის ცოცხალი, გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება რჩება სახელმწიფოს.
- ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს აქვთ თანაბარი უფლებები გახდნენ დედის მემკვიდრეები, სხვა ბავშვებთან ერთად. თუ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მამა აღიარებს, ან თუ ბავშვის მამად აღიარება დადგენილია სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ისინი თანაბარი მემკვიდრეები არიან ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან ერთად.
- ნაშვილებ ბავშვებს თანაბარი უფლებები აქვთ გარდაცვლილის კანონიერ ბავშვებთან ერთად. ამგვარად ისინი მიიღებენ იმავე თანხას, როგორც გარდაცვლილის სხვა ბავშვები. მშვილობელს არ აქვს უფლება შეეცილოს ნაშვილებ ბავშვს მის საკუთრებაში. ნაშვილები ბავშვი შესაძლოა იყოს მისი ბიოლოგიური მშობლების “*ab intestat*” მემკვიდრე და ერთდროულად შეუძლია გახდეს მათი და მისი მშვილობლების მემკვიდრე.

“*ab intestat*” სამკვიდროს შემთხვევაში სამკვიდრო აქტივების ტრანსფერი ხორციელდება ავტომატურად სამკვიდროს მფლობელი პირის გარდაცვალების დროს.

სამკვიდროს გაუქმება შესაძლებელია სამი თვის ვადაში გარდაცვალებიდან. როდესაც დავალიანებების თანხა აღემატება აქტივების ჯამს, გაუქმება განიხილება როგორც ავტომატური.

არასრულწლოვანთა (18 წლამდე) კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ აურის თქმა სამკვიდროზე მათი სახელით.

მემკვიდრეობაზე უარის თქმა შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მეანდერძე (მამკვიდრებელი) და მემკვიდრე ხელს აწერენ გარიგებას ნოტარიუსის წინაშე. ეს შესაძლოა განხორციელდეს გარკვეული პირობით. თუ მემკვიდრე ღებულობს სანაცვლოდ კომპენსაციას, ეს გავლენას იქონიებს მის მემკვიდრეებზე და ისინი ვერ გახდებიან იმავე მამკვიდრებლის მემკვიდრეები.

2. ანდერძები

ანდერძი შეიძლება განიხილოს როგორც ცალმხრივი იურიდიული ტრანზაქცია, რომელიც გამოხატავს პირის, კანონის ფარგლებში შედგენილ სურვილს, რომელიც ეფექტური ხდება პირის გარდაცვალების შემდეგ.

სრული იურიდიული ქმედუნარიანობის მქონე თხუთმეტი წლის პირს შეუძლია შეადგინოს ანდერძი თურქეთის სამოქალაქო კოდექსში გაცხადებული ფორმისა და ჩარჩოს ფსრგლრბში. შეცდომა, ფალსიფიკაცია და იძულება ბათილად ხდის ანდერძს. ანდერძი შესრულებული უნდა იყოს კანონთ გათვალისწინებული ფორმის სახით.

ანდერძის საგანი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქონების გადანაწილებით. პირს შეუძლია, მაგალითად, ანდერძში აღიაროს ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები.

ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნას ნოტარიუსის ან ადვოკატის (magistrat) წინაშე.

თურქეთში უფრო მიღებულია ანდერძის შედგენა ნოტარიუსთან.

მეანდერძეს (მამკვიდრებელს) შეუძლია გამოიყენოს ნოტარიუსის დახმარება ანდერძის შედგენა/მომზადებაში ან მხოლოდ მის დასაცავად ნოტარიუსის არქივებში.

წერილობითი ანდერძი სრულად შესრულებულია პირადად მეანდერძის მიერ. მასში უნდა ფიგურირებდეს შედგენის ადგილი და თარიღი, მოიცავდეს მის ხელმოწერას და მოთავსებულ იქნას მის მიერ კონვერტში. წერილი, თუკი ის პასუხობს მოთხოვნებს და თუ პირის სურვილი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, შეიძლება ჩაითვალოს წერილობით ანდერძად.

ზეპირი ანდერძი ვალიდურია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და არანაკლებ ორი პირის თანდასწრებით (გარდაუვალი სიკვდილის საშიშროება, მძიმე დაავადება, ომი, და ა.შ.). თუ მეანდერძეს დაუბრუნდა წერილობითი ანდერძის შედგენის უნარი, მან ის უნდა შეადგინოს ერთი თვის ვადაში განსაკუთრებული შემთხვევების პერიოდის დასრულებიდან. თუ ის ამას არ შეასრულებს, მისი ზეპირი ანდერძი ბათილდება.

შესაძლებელია კანონიერ მემკვიდრეებთან ეთად შეირჩეს გარე მემკვიდრე, ისე რომ არ დაზარალდეს მემკვიდრეების სამკვიდრო სავალდებულო წილები. შესაძლებელია ვალიდური ანდერძის მეშვეობით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვას მემკვიდრეს, მაგრამ მკაფიოდ უნდა იყოს განმარტებულია ამ არჩევანის მიზეზები, კანონის თანახმად. თუკი მიზეზები არასაკმარისია და არ ექცევა კანონის ჩარჩოში, ან მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა არ ხდება ვალიდური ანდერძის მეშვეობით, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უკუგდებულია.

თუკი კანონიერი მემკვიდრეები ჩაიდენენ მძიმე დანაშაულს მეანდერძის (მამკვიდრებლის) ან მისი ნათესავების მიმართ, ან არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ კანონიერ ვალდებულებებს, მათ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება.

3. ანდერძების რეესტრი (სამემკვიდრეო საქმეთა რეესტრი)

თურქეთში ყველა ნოტარიუსს გააჩნია არქივები ანდერძების დასაცავად. მხოლოდ უცხოელი პირების ანდერძები ინახება თურქეთის ნოტარიატის კავშირში.

4. სავალდებულო წილი

სამკვიდროს სავალდებულო წილები ერგება შემდეგ მემკვიდრეებს :

- ბავშვებს ერგება კანონიერი წილის ნახევარი.
- მშობლებს ერგება კანონიერი წილის მეოთხედი.
- ცოცხლად დარჩენილი მეუღლის შემთხვევაში ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე. თუ ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ უნდა არჩინოს გარდაცვლილის შვილები ან მშობლები, ის მიიღებს კანონიერ წილს სრულად, სხვა შემთხვევაში სამ მეოთხედს.

5. ჩუქება (Legs) და სამკვიდრო გადასახადები

მემკვიდრეებმა უნდა წარმოადგინონ სახელმწიფო ხაზინაში დეკლარაცია გარდაცვალებიდან სამი თვის ვადაში, სადაც ასახული იქნება გარდაცვლილის ქონება. მაშის უნდა ფიგურირებდეს ქონების ღირებულება. მემკვიდრეებმა უნდა გადაიხადონ მემკვიდრეობით მიღებული შემოსავლის ბეგარა, გამოთვლილი სამკვიდროს ჯამური თანხიდან. იხ. პარაგრაფი 3.13 ბეგარის განაკვეთის და დაუბეგრავი ზღვარის შესახებ.

სამკვიდრო გადასახადების გადახდის შემდეგ, სამკვიდრო ქონების გადანაწილება ხორციელდება კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. მემკვიდრეებს შეუძლიათ მიიღონ ის ერთად ან თვითნებურად ცალცალკე. თუკი ისინი ვერ აღწევენ შეთანხმებას, მათ უნდა მიმართონ მოსამართლეს საკუთრების გადასანაწილებლად.

მემკვიდრეებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები მემკვიდრეობაზე, მათი სამკვიდრო წილის პროპორციულად. თუ გარდაცვლილი გარდაცვალების მომენტში დაქორწინებულია, და თუ ოჯახის საცხოვრებლის მესაკუთრე ან თანამესაკუთრე იყო, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს სხვა მემკვიდრეების სამკვიდრო წილების შესყიდვა.

6. სუბსტიტუციები

“*ab intestat*” სამკვიდროს შემთხვევაში სამკვიდრო აქტივების ტრანსფერი ხორციელდება ავტომატურად სამკვიდროს მფლობელი პირის გარდაცვალების დროს. თუ მემკვიდრეებს სურთ მიიღონ სამკვიდროდან კანონიერი ნაწილი, სამკვიდრო გადასახადების სრული თანხა უნდა გადახდილ იქნას წინასწარ. თუ მემკვიდრეები ვერ აღწევენ შეთანხმებას, სამკვიდროს გადანაწილება მოხდება მოსამართლის მეშვეობით.

ანდერძით მემკვიდრეობისას, ტრანსფერი განხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

7. ანდერძის აღსრულება

ანდერძით მემკვიდრეობისას, საჯარო რეესტრის ოფიცერი ატყობინებს ნოტარიუსს გარდაცვალებას, შემდეგ ნოტარიუსი აგზავნის ანდერძს მოსამართლესთან. მოსამართლე ხსნის ანდერძს და ქონება ნაწილდება გარდაცვლილის ნების თანახმად. თუ მეანდერძე (მამკვიდრებელი) ნიშნავს სამკვიდრო აღმასრულებელს, ეს უკანასკნელი ახორციელებს ანდერძის აღსრულებას.

8. “*ab intestat*” სამკვიდრო

იხ. 1 კითხვის პოსუხი.

9. სამკვიდრო პაქტი

მემკვიდრეებს შეუძლიათ გლობალურად შეთანხმდნენ სამკვიდროს გადანაწილებაზე. ამ შეთანხმებისათვის საკმარისია ერთი ხელწერილი. შემდეგ მათ შეუძლიათ გადაინაწილონ ქონება როგორც სურთ. თუკი ვერ შეთანხმდნენ გადანაწილებაზე, ეს კანონის შესაბამისად ეკისრება მოსამართლეს.

10. გადანაწილება

“*ab intestat*” სამკვიდროს შემთხვევაში სამკვიდრო აქტივების ტრანსფერი ხორციელდება ავტომატურად სამკვიდროს მფლობელი პირის გარდაცვალების დროს. თუ მემკვიდრეებს სურთ მიიღონ სამკვიდროდან კანონიერი ნაწილი, სამკვიდრო გადასახადების სრული თანხა უნდა გადახდებოდეს იქნას წინასწარ და მემკვიდრეები უნდა მოქმედებდნენ შეთანხმებულად. წინასწარ. თუ მემკვიდრეები ვერ აღწევენ შეთანხმებას, სამკვიდროს გადანაწილება მოხდება მოსამართლის მეშვეობით. იხ. პარაგრაფი 3.1 “*ab intestat*” სამკვიდრო წილების გადანაწილების შესახებ.

ანდერძით მემკვიდრეობისას, გადანაწილება ხდება მოსამართლის მიერ, გარდაცვლილის უკანასკნელი ნების შესაბამისად.

11. მემკვიდრის პასუხისმგებლობა

მემკვიდრეები ექვემდებარებიან მემკვიდრეობით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადის დაბეგრვას. იხ. პარაგრაფი 14 განაკვეთების შესახებ.

12. ჩუქება (Les donations)

ჩუქება შესაძლებელია, მაგრამ სავალდებულო წილის გათვალისწინებით. არსებობს მისი ნაირსახეობა. ეს შეიძლება იყოს მჩუქებლის მუდმივი უზუფრუქტი გაჩუქებულ საკუთრებაზე. ამ შემთხვევაში მჩუქებელს შეუძლია განაგრძოს ცხოვრება გაჩუქებულ შენობაში ან მიიღოს ქირა ან სხვა შემოსავალი ამ შენობიდან. თუ საჩუქარი ფულად თანხას გულისხმობს, მჩუქებელს შეუძლია გააგრძელოს მასზე საპროცენტო განაკვეთების მიღება.

მჩუქებელს შეუძლია ასევე დააწესოს პირობები ან გადასახადები საჩუქარზე. ამ შემთხვევაში, თუ დასაჩუქებელი გარდაიცვალა მჩუქებელზე ადრე, გაჩუქებული საკუთრება შესაძლოა დაბრუნდეს ამ უკანასკნელის მფლობელობაში.

რეტროსესია ასევე შესაძლებელია კანონში გაწერილი დებულებების თანახმად. თუკი დასაჩუქრებული ჩაიდენს სერიოზულ დანაშაულს, მამკვიდრებლის ან მისი ნათესავების მიმართ, ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ კანონიერ ვალდებულებებს, მჩუქებელს შეუძლია უკან გამოითხოვოს მისი საჩუქრი.

13. საერთაშორისო კერძო სამართალი

საპროცესო სამართალში კანონი 5718 საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ძალაში შევიდა 2007 წლის 12 დეკემბერს.

ეს კანონი მოიცავს ისეთ დებულებებს როგორცაა :

მუხლი 1 : სამართალი, რომელიც ვრცელდება კერძო სამართლის აქტებსა და ურთიერთობებზე და რომელიც მოიცავს უცხოურ ელემენტებს, თურქული სასამართლოების

საერთაშორისო იურისდიქციებს, უცხოური გადაწყვეტილებების აღიარებას და აღსრულებას, გაწერილია თურქულ სამოქალაქო კოდექსში. საერთაშორისო კონვენციების დებულებანი, რომლის მონაწილეა თირქეთი, საიდუმლოებას წარმოადგენს.

დებულებანი სამკვიდროს შესახებ შემდეგია :

მუხლი 20 :

- სამკვიდროზე ვრცელდება გარდაცვლილის ეროვნული კანონი. თურქეთში მდებარე უძრავ ქონებაზე ვრცელდება თურქული კანონი.

- დებულებანი, რომელიც ეხება სამკვიდროს გახსნას, მიღებას და გადანაწილებას ექვემდებარება ადგილობრივ კანონს, სამკვიდროს ადგილმდებარეობის მიხედვით.

- თურქეთში ასებული სამკვიდრო მემკვიდრის გარეშე, გადაეცემა სახელმწიფოს.

- სამკვიდრო დებულებების ფორმა გაწერილია მე-7 მუხლის დებულებებში. სამკვიდრო დებულებანი, შესრულებული გარდაცვლილის ეროვნული კანონის თანახმად ასევე ვალიდურია.

- ანდერძის შედგენის უნარიანობა ექვემდებარება პირის ეროვნულ კანონს.

იურიდიული ტრანზაქციები შესაძლოა შესრულდეს ადგილობრივი კანონით გათვალისწინებული ფორმით ან ამ იურიდიული ტრანზაქციის შინაარსის კანონის თანახმად.

ზემოთხსენებული წესები ეხება კანონის კონფლიქტებს. მათ პარალელურად, მუხლი 43 არეგულირებს პროცედურას სამკვიდრო საკითხებში.

43 მუხლის თანახმად, სამკვიდროსთან დაკავშირებული ქმედებები უბდა წარდგენილ იქნას სასამართლოს წინაშე, გარდაცვლილი პირის თურქეთში უკანასკნელი საცხოვრებლის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი საცხოვრებელი არ არის თურქეთი, ქმედება გადადის იმ ადგილობრივ სასამართლოში, სადაც მდებარეობს სამკვიდრო ქონება.

14. მემკვიდრეობით/ჩუქებით მიღებული შემოსავლის დაბეგრვა

სამკვიდრო გადასახადები გამოითვლება ქონების ღირებულებიდან. უძრავი ქონების შემთხვევაში ღირებულებას ადგენს (ქონების) ადგილმდებარეობის მუნიციპალიტეტი. მობილური ქონების შემთხვევაში, გარდა ნაღდი ფულისა და ისეთი ქონების ღირებულებისა, რომელიც ობიექტურად შეიძლება გამოითვალოს, ღირებულება ფასდება თვით მემკვიდრეების მიერ.

- სამკვიდრო წილებზე შესაძლოა დაწესდეს საგადასახადო შეღავათი, ნათესავური კაშირებიდან გამომდინარე.

საგადასახადო განაკვეთები :

- საგადასახადო განაკვეთები დამოკიდებულია სამკვიდროს თანხაზე.

- პირველ 210.000,00 თურქულ ლირაზე (70.000-EUR)..... 1%

- პირველ 500.000,00 თურქულ ლირაზე (167.000- EUR)..... 3%

- პირველ 1.110.000,00 თურქულ ლირაზე (370.000- EUR)..... 5%

- პირველ 2.000.000,00 თურქულ ლირაზე (667.000- EUR)..... 7%

- პირველ 3.820.000,00 თურქულ ლირაზე (1.275.000- EUR)..... 10%

საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების ზღვარი :

- ბავშვებზე საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების ზღვარია 170.086,00 თურქული ლირა (57 000 EUR)

- ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის ზღვარი იგივეა რაც ბავშვებისათვის, მაგრამ თუ გარდაცვლილს არ ყავს შვილი (საკუთარი თუ ნაშვილები) და შვილიშვილები, ზღვარი წარმოადგენს 340 381,00 თურქულ ლირას (113,500.- EUR).

- არ არსებობს საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლების სხვა ზღვარი გარდაცვლილის დანარჩენი ნათესავებისათვის.

როდის უნდა იყოს შეტანილი გადასახადი :

- გარდაცვალებიდან სამი თვის ვადაში მემკვიდრეებმა უნდა შეიტანონ წერილობითი დეკლარაცია საჯარო ხაზინაში, სადაც ფიგურირებს ინფორმაცია გარდაცვლილის სამკვიდროზე (მათ შორის დავალიანებებზე) და მის ღირებულებაზე.

- სამკვიდრო გადასახადები უნდა გადახდილ იქნას სამი წლის მანძილზე და წელიწადში ორჯერ.

- თუ მემკვიდრეებს სურთ მიიღონ კანონიერი ნაწილი სამკვიდროდან, სამკვიდრო გადასახადების სრული თანხა უნდა გადახდილ იქნას წინასწარ.

განაკვეთები იგივეა ჩუქებისას.

თურქეთმა სხვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ორმაგი დაბეგრვის პრევენციის თაობაზე (Traité sur la Prévention de la Double Imposition). დღეისათვის თურქეთს მოწერილი აქვს ხელი შეთანხმებაზე 76 ქვეყანასთან.